განკარგულება:**g-31. 31251766**
თარიღი:**25/06/2025**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №27

2025 წლის 25 ივნისი

ქ. ლანჩხუთი

„ქალისა და მამაკაცის თანასწორობისა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61–ე მუხლის 1-ლი და მე–2 ნაწილების, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 106 1-ე მუხლის 1–ლი და მე–2 ნაწილებისა და 177-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

მუხლი 1. დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება „ქალისა და მამაკაცის თანასწორობისა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად.

მუხლი 2. „ქალისა და მამაკაცის თანასწორობისა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი და ცნობა (თან ერთვის) ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ გამოქვეყნდეს საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 106^2–ე მუხლით გათვალისწინებული წესის შესაბამისად;

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N14 მისი ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი“ მე–8 თავის 22–ე მუხლის მე–3 ნაწილის შესაბამისად;

მუხლი 4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ბესიკ ტაბიძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

დანართი

ცნობა

„ქალისა და მამაკაცის თანასწორობისა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატი აღნიშნავს, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოში დაწყებულია ადმინისტრაციული წარმოება „ქალისა და მამაკაცის თანასწორობისა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად.

დადგენილების მიღების ვადაა საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყებიდან არაუგვიანეს ორი თვისა.

დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს „ქალისა და მამაკაცის თანასწორობისა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტთან დაკავშირებით საკუთარი მოსაზრებები შეუძლიათ წარმოადგინონ 2025 წლის 13 ივლისამდე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში მისამართზე: ქ. ლანჩხუთი, კოსტავას ქ. N37, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის მე–2 სართული (პასუხისმგებელი პირი ნინო ძიძიგური – საკრებულოს აპარატის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (აპარატის უფროსი), ტელ: 599266130).